

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

ტექსტი A

დემოკრატიის ცნება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ერთ-ერთი ძირითადი ცნებათაგანი, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა და მისი კონკრეტული გამოვლინებანი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. შესაბამისად, ამგვარი ცნების მნიშვნელობის ზუსტი საზღვრების დადგენა განსაკუთრებით ძნელია.

ძველი ბერძნები მმართველობის ფორმას ყოველდღიური, ოპერატიული გადაწყვეტილებების მიმღების ვინაობისა თუ რაობის მიხედვით განსაზღვრავდნენ. სწორედ ამ თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან: მონარქია, ოლიგარქია, დემოკრატია... აღსანიშნავია, რომ ბერძენთა სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი ფორმა – პოლისი, პირველ რიგში, თავისუფალი ადამიანების გაერთიანება იყო და ამ ერთობაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ხალხის მიერ მიიღებოდა (როგორც წესი, სახალხო კრებაზე). ბერძნები მიჯნავდნენ ელინებს – ცივილიზებულ ხალხს – რომელიც ბუნებრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პირობებში, ანუ პოლისებად ცხოვრობს, ბარბაროსებისაგან, რომელთა ცხოვრების წესიც განსხვავებულია. დემოკრატიის დღევანდელი გაგებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, ყველა პოლისი დემოკრატიულად განვიხილოთ. მაგრამ თავად ბერძნები დემოკრატიას უწოდებდნენ მხოლოდ ხალხის უშუალო მმართველობას, რომელიც ათენსა და მის მოკავშირე ზოგიერთ პოლისში განხორციელდა.

ბერძნული დემოკრატიის დახასიათებას ჯერ კიდევ **თუკიდდე** გვთავაზობს: „ჩვენი სახელმწიფო უცხო ნიშნის მიხედვით არ მოგვიწყვია. პირიქით, უმალ ჩვენ ვართ სხვისთვის სამაგალითო. და რადგან ჩვენს ქვეყანას მართავს არა ადამიანთა მცირე ჯგუფი, არამედ ხალხის უმეტესობა, ამ წყობას დემოკრატია ჰქვია...“

თავად ამ სტრიქონების ავტორი თუკიდდეც, აგრეთვე **პლატონი**, **არისტოტელე** და სხვა ბერძენი მოაზროვნეები, ვინც ოპტიმალურ სახელმწიფო მოწყობაზე დაფიქრებულა, არ იყვნენ ალტაცებული ათენური უსაზღვრო დემოკრატით. მთელი ხალხის მონაწილეობა საერთო საქმეების გადაწყვეტაში სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა ექსტრემალურ სიტუაციებში, რამაც *პელოპონესის* ომის დროს განსაკუთრებით იჩინა თავი. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ სახალხო კრების ორი ურთიერთგამომრიცხველი გადაწყვეტილება *მიტილინეს* მოქალაქეთა დასჯის შესახებ, როდესაც მხოლოდ იღბალმა შეუნარჩუნა სიცოცხლე მთელი ქალაქის მოსახლეობას, ან *ალკიბიადესისა* და დემოკრატიული ინსტიტუტების რთული ურთიერთობები, რომლებმაც ათენს ძლიერ ავნო ამ ომის მეორე ეტაპზე.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5
შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11

უკვე ძვ. წ. V ს-ის მიწურულს ბერძენთა აზროვნებაში მომწიფდა იდეა, რომ სახელმწიფოს მართვაში შეზავებული უნდა იყოს დემოკრატიული (საერთო სახალხო), ოლიგარქიული (ელიტის მცირე ჯგუფისა) და ერთპიროვნული მმართველობის ელემენტები. ბერძნული პოლისების სამყაროში ამ იდეის რეალიზაციასთან ყველაზე ახლოს, ალბათ, სპარტა მივიდა. თუმცა, გამომდინარე სპარტის თავისებური სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოწყობიდან და საუკუნეების მანძილზე უცვლელი მკაცრი კანონმდებლობიდან, ის ამ ტიპის მაგალითად არ მოიხსენიება. ბერძენ მოაზროვნეთა შორის სპარტა მაინც მიჩნეული იყო ოლიგარქიულ პოლისად, რადგან ქვეყნის ოპერატიული მართვა უხუცესთა საბჭოსა და ეფორების¹ ხელში იყო.

მმართველობის სხვადასხვა ფორმის ელემენტების ქმედითი შერწყმა დამახასიათებელია რომის რესპუბლიკისათვის. ლაშქრის საერთო კრება, აგრეთვე კომიციების, ცენტურიებისა თუ ტრიბების კრებები დემოკრატიული ინსტიტუტებია, რომლებიც რომში ხალხის მმართველობის მექანიზმი იყო; სენატი წარჩინებულთა ჯგუფურ ორგანოს წარმოადგენდა, ხოლო მაგისტრატები, პირველ რიგში, კონსულები ერთპიროვნულ ოპერატიულ მართვას ახორციელებდნენ. რომში ვხედავთ აგრეთვე ხელისუფლების დანაწილებას შტოებად – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო. აღსანიშნავია, რომ ასეთი დაყოფა იდეის სახით წარმოდგენილია უკვე პოლიბიოსთან², რაც მოგვიანებით ატაცებული იქნა და დაიხვეწა განმანათლებლების, პირველ რიგში, მონტესკიეს, ხოლო შემდგომ კი ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამების მიერ.

რატომ არ განხორციელდა იგივე პროცესი ბერძნულ პოლისში? პირველ ყოვლისა, მისი ზომის – მოსახლეობის რაოდენობისა თუ ტერიტორიის გამო. ყველაზე დიდი პოლისებიც კი მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქისაგან შედგებოდა. ბევრი მათგანის მოქალაქეთა რიცხვი ათასსაც კი არ აღწევდა. ასეთი რაოდენობის ხალხის შეკრება შესაძლებელი იყო თუნდაც ყოველდღიურად, მათ არ გაუჭირდებოდათ არც საკუთარი სახლიდან ცენტრალურ მოედნამდე მისვლა. მოქალაქეთა მცირე რიცხვისა და ხშირი შეხვედრების პირობებში არც ფუნქციათა მკაფიო გადანაწილება ან ამა თუ იმ ფუნქციის აღსასრულებლად სპეციალური მომზადება იყო საჭირო. შესაბამისად, უშუალო, ანუ პირდაპირი დემოკრატია ბერძნული პოლისისთვის მმართველობის ბუნებრივი და ორგანული ფორმა იყო.

ტექსტის გაგრძელება ->

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

¹ ეფორები – (ბერძნ. ზედამხედველი) – ხუთი მაგისტრატი, რომელთაც სპარტაში ერთი წლის ვადით ირჩევდნენ.

² პოლიბიოსი – ძველბერძენი ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი (ძვ. წ. აღ-ით 200 – 120 წლები).

დიდ სახელმწიფოში ვითარება რადიკალურად იცვლება. აქ პირდაპირი დემოკრატია – ყველას მონაწილეობა ყველა პრობლემის გადაწყვეტაში უბრალოდ შეუძლებელია. შესაბამისად, ჩნდება მოხელეთა ფუნქციების მკაფიო დანაწილება, ფუნქციის მატარებელს სჭირდება სპეციალური ცოდნა და მას გამოარჩევს სპეციალური გარეგნული ნიშნები – ჩაცმულობა, ამაღის შემადგენლობა, ადჭურვილობა და სხვა. პარალელურად ჩნდება კოლექტიურ გადაწყვეტილებათა ფრაგმენტაციის (ანუ, დანაწილების) პრაქტიკა: მცირე ჯგუფის შეკრებაზე განიხილებოდა საკითხი და ირჩეოდნენ წარმომადგენლები, რომლებიც საერთო შეკრებაზე გამოხატავდნენ თავისი ჯგუფის ინტერესებს და იცავდნენ მის პოზიციას. ამ პროცესებს შეიძლება გავადევნოთ თვალი რომში და ეს ნიშნები დამახასიათებელია დღევანდელი ცივილიზებული სახელმწიფოებისათვის. წარმომადგენლობით დემოკრატიასთან ერთად, რომაული პრაქტიკიდან შეიძლება გავიხსენოთ მაგისტრატებისა და სენატორების ჩაცმულობა, მოსასხამის ფერი, მათი თანმხლები პირების, მაგალითად, ლიქტორების რაოდენობა და უნიფორმა, კურიების, ცენტურიების თუ ტრიბების კრებები, თუნდაც იმპერატორის არჩევა ჯარის მიერ... შესაბამისად, განსხვავებით ათენური „პირდაპირი დემოკრატისაგან“, დღევანდელ დემოკრატიას, რომელიც უფრო რომაულიდან იღებს სათავეს, „წარმომადგენლობითი“ შეიძლება ვუწოდოთ. დღევანდელობაშიც აქტუალურია უნიფორმისა და სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენება, სახელმწიფო დაცვა და განმასხვავებელი ნიშნები სატრანსპორტო საშუალებებზე. განსაკუთრებით დაიხვეწა და ყოვლისმომცველი გახდა სხვადასხვა დონის არჩევითი კოლეგიები, სოფლის თვითმმართველობით დაწყებული და ქვეყნის პარლამენტით დასრულებული. არქაულ წარმომადგენლობით დემოკრატიასთან განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების სისტემა.

დემოკრატიული რეფორმები ანტიკურ სამყაროში საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, სანამ ხალხის მმართველობა ათენსა და რომში თავის კლასიკურ, თუმცა არა დასრულებულ სახეს მიიღებდა. სრულყოფილი დემოკრატია, ალბათ, არც არსებობს, რადგან ეს, პირველ რიგში, პროცესია.

საბოლოო ჯამში, დემოკრატიულ, სახალხო სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს ხალხის ინტერესებისთვის მოქმედი, სამართლიანი სახელმწიფო, თუმცა, ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობის ფორმები, შესაძლოა, ერთმანეთისაგან განსხვავებული იყოს.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

1. ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანია, ისტორიულ ჭრილში შეძლოს

- (ა) ბერძნული დემოკრატიული პოლისის კრიტიკულად შეფასება.
- (ბ) რომის რესპუბლიკის თავისებურებათა განხილვა.
- (გ) ანტიკური სამყაროს გამოჩენილ მოაზროვნეთა შეხედულებების ანალიზი.
- (დ) დემოკრატიის კონკრეტულ გამოვლინებათა შორის განსხვავების წარმოჩენა სათანადო მაგალითებით.
- (ე) დემოკრატიული სახელმწიფოს სიმბოლიკის აღწერა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

2. ტექსტის მიხედვით, რომელი მოსაზრებაა მართებული ჩამოთვლილთაგან?

- (ა) დემოკრატიის ცნება, საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სხვა ძირითადი ცნებებისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა დროთა განმავლობაში.
- (ბ) ძველი ბერძნები მმართველობის ფორმას ოპერატიული გადაწყვეტილებების მიმღებთა შესაბამისად ადგენდნენ და ოლიგარქიას უპირატესობას ანიჭებდნენ.
- (გ) განმანათლებელთა ეპოქისაგან განსხვავებით, ანტიკურ სამყაროში დემოკრატიული რეფორმები ძალზე სწრაფად განხორციელდა.
- (დ) მთელი ხალხის მონაწილეობა საერთო საქმეების გადაწყვეტაში სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა სპარტაში, ხოლო ათენში, როგორც წესი, წარმატებით გვარდებოდა.
- (ე) პლატონი, არისტოტელე და სხვა ბერძენი მოაზროვნეებიც, ვინც ოპტიმალურ სახელმწიფო მოწყობაზე ფიქრობდა, არ იწონებდნენ ათენის უსაზღვრო დემოკრატიას.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

3. რა მიზნით მოჰყავს ავტორს მიტილინეს მოქალაქეებისა და ალკიბიადესის მაგალითები?

- (ა) ბერძნული დემოკრატიის თუკიდიდესეული დახასიათების გასამყარებლად.
- (ბ) ათენური დემოკრატიის ხარვეზის საჩვენებლად.
- (გ) ელინებსა და ბარბაროსებს შორის მკვეთრი სხვაობის დასადასტურებლად.
- (დ) ე. წ. ბერძნული პოლისის მოდელის უკეთ წარმოსაჩენად.
- (ე) დემოკრატიასა და მონარქიას შორის განსხვავების გამოსაკვეთად.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

4. ტექსტის მიხედვით, რა განსხვავებაა სპარტასა და რომის რესპუბლიკას შორის?

- (ა) რომს, სპარტასაგან განსხვავებით, საუკუნეების მანძილზე უცვლელი და მკაცრი კანონმდებლობა ჰქონდა.
- (ბ) რომაელთაგან განსხვავებით, სპარტელები, გამომდინარე თავისებური სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოწყობიდან, უხუცესთა საბჭოს არ ირჩევდნენ.
- (გ) რომში შესაძლებელი გახდა მმართველობის სხვადასხვა ფორმის ქმედითი შერწყმა, სპარტა კი უპირატესად ოლიგარქიული პოლისი იყო.
- (დ) პირდაპირი დემოკრატია, სპარტასაგან განსხვავებით, რომაული მმართველობის ბუნებრივი და ორგანული ფორმა იყო.
- (ე) არქაულ წარმომადგენლობით დემოკრატიას სპარტის მაგალითზე უფრო სრულად დავახასიათებთ, ვიდრე რომის რესპუბლიკის შემთხვევაში.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

5. ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელთათვის რა აღმოჩნდა სამაგალითო?

- (ა) პოლიბიოსის იდეა ხელისუფლების ფუნქციათა მიხედვით დანაწილების შესახებ.
- (ბ) პლატონისა და არისტოტელეს კრიტიკული დამოკიდებულება უსაზღვრო დემოკრატიის მიმართ.
- (გ) თუკიდიდეს მიერ დემოკრატიის ცნების განსაზღვრება.
- (დ) ალკიბიადესისა და დემოკრატიული ინსტიტუტების რთულ ურთიერთობათა ანალიზი.
- (ე) სახალხო კრების გადაწყვეტილებები მიტილინეს მოქალაქეთა დასჯის შესახებ.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

6. წარმოდგენილი მოსაზრებებიდან:

- I. უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა სახალხო კრებაზე მიღების გამოცდილება ძველ რომში გაჩნდა.
- II. ძველ რომში იღებს სათავეს მმართველობის სხვადასხვა ფორმის ელემენტთა ურთიერთშერწყმის იდეა.
- III. ძველი რომისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების სამ სხვადასხვა შტოდ გადანაწილების პრაქტიკა.

მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ III
- (ე) მხოლოდ I და III

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

7. ფუნქციათა გადანაწილებას ბერძნული პოლისი არ საჭიროებდა; ამის მიზეზი იყო

(ა) მმართველობის ფორმის განსაზღვრა ოპერატიული გადაწყვეტილების მიმღების ვინაობის მიხედვით.

(ბ) სახალხო კრების ინსტიტუტთან ერთად, წარჩინებულთა მხოლოდ ერთი ჯგუფური ორგანოს არსებობა, რომლის წარმომადგენლები საერთო შეკრებაზე გამოხატავდნენ საკუთარ ინტერესებს.

(გ) ხარვეზები სხვადასხვა სამოხელეო ფუნქციის შესაბამისი ცოდნის შეძენისა და სპეციალური გარეგნული ნიშნების გამოყენების პრაქტიკაში.

(დ) პელოპონესის ომის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარება.

(ე) მოსახლეობის მცირე რაოდენობა და ტერიტორიის კომპაქტურობა.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

8. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ხელისუფლების შტოებად დანაწილების იდეის ჩასახვა განმანათლებელთა ეპოქას, კერძოდ, მონტესკიეს სახელს უკავშირდება.
- (ბ) დემოკრატიის ცნების თანამედროვე ინტერპრეტაციის მიხედვით, შესაძლებელია, ყველა ბერძნული პოლისი დემოკრატიულად მივიჩნიოთ.
- (გ) რომის რესპუბლიკაში მაგისტრატებსა და კონსულებს ერთპიროვნული ოპერატიული მართვის უფლება ჰქონდათ.
- (დ) დემოკრატიული რეფორმები ანტიკურ სამყაროში ხანგრძლივად, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა.
- (ე) მთელი ხალხის მონაწილეობა საერთო საქმეების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდა ექსტრემალურ სიტუაციებში.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

9. ჩამოთვლილთაგან შერჩიეთ და აღადგინეთ წინადადებაში გამოტოვებული სათანადო ფრაგმენტი:
არქაულ განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების სისტემა.

- (ა) პირდაპირ დემოკრატიასთან
- (ბ) სახალხო კრებასთან
- (გ) წარმომადგენლობით დემოკრატიასთან
- (დ) დემოკრატიულ პოლისთან
- (ე) საკანონმდებლო ინსტიტუტთან

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

10. ავტორი აღნიშნავს, რომ კოლექტიურ გადაწყვეტილებათა ფრაგმენტაცია მიღებული პრაქტიკა იყო

- (ა) ყველა ბერძნულ პოლისში
- (ბ) რომის რესპუბლიკაში
- (გ) ათენსა და მის მოკავშირე პოლისებში
- (დ) მხოლოდ სპარტაში
- (ე) მთელ ანტიკურ სამყაროში

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

11. დააკვირდით ტექსტის სტრუქტურას და განსაზღვრეთ, რა ფუნქცია აქვს მის პირველსა და ბოლო აზრებს?

(ა) როგორც პირველ, ისე ბოლო აზრებში გამოკვეთილია პრობლემური საკითხები დემოკრატიის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით.

(ბ) პირველ აზრებში გამოკვეთილია პრობლემური საკითხი, ხოლო ბოლო აზრებში ავტორს გამოაქვს ამავე საკითხის შესაბამისი დასკვნა.

(გ) პირველ აზრებში ავტორი საუბრობს ანტიკური სამყაროს დემოკრატიათა შესახებ, ბოლო აზრებში კი თანამედროვე დემოკრატიულ გარემოს განიხილავს.

(დ) პირველ აზრებში გამოთქმული მოსაზრების არგუმენტებს ავტორი თავს უყრის ბოლო აზრებში.

(ე) როგორც პირველ, ისე ბოლო აზრებში გამოხატულია ავტორის კრიტიკული აზრი, რომ სრულყოფილი დემოკრატია მიუღწეველია.

<i>ტექსტი A</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>
<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>

ტექსტი B

- I ჩვეულებრივ, „ტრადიციაზე“ საუბრისას რაღაცის უცვლელად და დიდხნობით შენარჩუნებას გულისხმობენ; ეს, რასაკვირველია, სწორია, რაკილა ლაპარაკია წარსულიდან ნაანდერძევის გადმოცემაზე; ამასთანავე, მხედველობაში აქვთ რისამე მზად ნაგულვები, სავსებით ჩამოყალიბებული ფორმა. ეს შეიძლება იყოს რომელიმე წეს-ჩვეულება, მკურნალობის ხერხი, ფარდაგის ორნამენტული სახე, ბევრიც კიდევ სხვა, ოღონდ აუცილებლად ჩამოქნილი და უცვალელებელი. ასე მოაზრებულ ტრადიციას დამცველიც მრავლად მოეპოვება და მოწინააღმდეგეც. პირველთ ადაფრთოვანებთ „ყველაფერი ძველი“, საუკუნეთა მსვლელობაში გამოცდილი; მეორენი ყველაფერ უცვლელს შემაბრკოლებლად მიიჩნევენ. საკითხავია, რამდენად მართებულია, გინდა ისტორიულად, გნებავთ, სადღეისოდ თუ სახვალოდ ტრადიციის ასეთი ხედვა?
- II უეჭველია, რომ, ერთი მხრივ, ყოველგვარი ტრადიციული ფორმა გაჩენილია დროში, რაღაცისაგან არის წარმომდგარი და, ამიტომაც, შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც მისი კვლავ გარდასახვა. მეორე მხრივ, ყოველივე ცვლილება რაღაცის გადმოღება-შენარჩუნებას, განგრძობას მოითხოვს თავის პირობად. **ჰერაკლიტეს** ცნობილი გამოთქმა, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერავინ შევაო, სწორია გამდინარე წყლის მიმართ, მაგრამ მდინარის კალაპოტი ყოველწამიერად არ სხვაფერდება. რაგინდა კონსერვატიული იყოს საზოგადოება, იგი მაინც ეგუება სიახლეს. უდავოდ მიმაჩნია, რომ არ არსებობს ფორმა, სულერთია, ნივთის, საქმიანობისა თუ ურთიერთობის, რომელიც სამარადჟამო იქნება. და ზუსტად ასევე, არ არსებობს ისეთი გარდატეხა, რომელმაც უარყოფილ-უკუგდებულ წარსულიდან რამ არ გადმოიყოლოს.
- III ახლა ისა ვთქვათ, რამდენად სარგოა წარსულიდან გადმოყოლილი „ნაშთები“, იქნებ, ისინი მართლაც ყოველთვის შემაფერხებელია, წინსვლის მუხრუჭია? ხომ მოიძებნება იმისი მაგალითი ნივთიერსა თუ სულიერ ასპარეზზე, როდესაც ძველიდან მოსული დიახაც მოძველებული ყოფილა, ხელისშემშლელი, მოსაცილებელი?! თუ მოცემული სახით ვერაფერი შეგვრჩება სამუდამოდ, საზოგადოდ რასმე კი უნდა მოვეჭიდოთ გადასარჩენად? არის კი, და თუ არის, რა გზით და რა ვითარებაში ვლინდება რაღაც ისეთი, რაც ცვალებადობაში ფერუცვლელი რჩება? ვგონებ, ამ კითხვებზე პასუხს ვიპოვით ქართულ ხელოვნებაზე, მის ისტორიაზე დაკვირვებისას.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

IV 1936 წელს გიორგი ჩუბინაშვილი წერდა: „ქართული ხელოვნების ყოველი ეპოქის სტილი ორი მომენტის შენაერთია: ერთი – საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ცალკეული მატერიალური ფორმებისა და მიზანსწრაფვიდან გამომდინარე კომპოზიციათა ნაკრებისა, და, ამასთან, მეორე – ყველა ეპოქისა და ყველა განსხვავებული ფორმის განმსჭვალავი, მდგრადი ეროვნული სტრუქტურისა, ე. ი. გარკვეული მუდმივი, კონსტანტური ნიშნების, განწყობის, მიდგომისა.“ ოდნავ მოგვიანებით კი იგი აღნიშნავდა: „ვითარდება რა როგორც ათასწლოვანი, თავისი დამახასიათებელი განწყობა-მიდგომის შემმუშავებელი და წარმომჩენი მხატვრული კულტურის გაგრძელება, თანამედროვე ქართული ხელოვნება ვერ გადმოიღებს ძველი ხელოვნების ფორმათა ძველ დეტალებს თანამედროვე ნაწარმოებებთან მოსარგებად... იგი ან სრულიად ახალ გადაწყვეტას უნდა ეძებდეს, ან ძირისძირამდე უნდა სწვდებოდეს, ე. ი. სრულ კომპოზიციურ ერთიანობაში უნდა იაზრებდეს დეტალების ძველებურ ანალოგიურ გადაწყვეტას“. ამ ამონარიდებში გაცხადებული თვალსაზრისი ეგებ პარადოქსად ჩანდეს – სწორედ იმ ვითარებაში, როდესაც წარმოჩენილია მყარი განსაზღვრული მუდმივები, ყოველი ხანა ქართული ხელოვნებისა სავსებით განსხვავებული იერის მქონეა.

V მართლაცდა, წარმოვისახოთ, თუნდაც, მცხეთის ტაძრები ჯვრისა და სვეტიცხოვლისა და აშკარა შეიქმნება, რაოდენ შორდება ისინი ერთიმეორეს. პროპორციები იქნება ეს, გეგმარება, მორთვის წესი თუ მამკობი ელემენტები, ყველაფერი სხვადასხვაა. ახლა გადავავლოთ თვალი სხვა ეკლესიებსაც და წარმოგვიდგება სიჭრელემდე მისული არაერთგვაროვნება. მაშ, არის კი მათში რაიმე საზოგადო და გამაერთიანებელი? რატომ გვაქვს უფლება მათ „ქართულობაზე“ მსჯელობისა? თვითონ ჩუბინაშვილმაც და სხვა მკვლევრებმაც გამოკვეთეს ძირითადი კონსტანტური ნიშნები, რომელნიც განაპირობებენ ჩვენი არქიტექტურის თავისებურებას, განსხვავებულობას. ასეთია, მაგალითად: სივრცის კომპაქტურობა, პროპორციათა ზომიერება, შეფარდებითი თავშეკავებულობა მორთვისას; ამასთან, როგორც წესი, სამშენებლო მასალა არასოდეს განიძარცვება თავისი თვისებებისაგან, თუმცა არც ხაზგასმულია სიმძიმე თუ მასიურობა... ნიშნები, როგორც ხედავთ, საკმაოდ ხელმოსაჭიდი ჩანს. უჩვეულო კი ისაა, რომ არცერთი ამ მდგრადი ნიშნებიდან არ მოითხოვს აუცილებლობით ამა თუ იმ ფორმას; ისინი უფრო ფორმათშემოქმედების პრინციპებია, რომელნიც შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს. ეს ნიშნები ნაირგვარად ისხამდა კიდევ ხორცს საუკუნეთა მანძილზე და, მოსალოდნელია, მომავალშიც ახლებურად ამეტყველდეს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

VI ამგვარი პრინციპები სხვა ხელოვნებაშიც დასტურდება. ამ მხრივ საყურადღებოა მკვლევართა მიერ ქართულ ფერწერულსა და ნაქანდაკე პორტრეტებში, ასევე, ჩვენს კინემატოგრაფში შენიშნული მოვლენა – არაყოფითობა და სწრაფვა განზოგადებისკენ, იდეალურობისკენაც კი. განა საყოფაცხოვრებო წვრილმანების მიმართ უგულისყურობით, აღწერათა მცირე ოდენობით არ ხასიათდება ჩვენი მწერლობაც? განა წარმოსადგენია, რომელიმე ქართველ მწერალს ისე დაწვრილებით ესაუბრა ხედზე, როგორც აღწერს პარიზს **ჰიუგო**, ან კიდევ ბინის მოწყობილობაზე ისე ვრცლად შეჩერებულიყო, როგორც **თომას მანი**? ეს ზოგჯერ დასანანიც არის – რამდენი რამ გვეცოდინებოდა წინანდელი საქართველოს ყოველდღიურობაზე, ჩვენს მწერლებს ნაშენსა თუ ავეჯზე ამდენივე რომ მოეთხროთ, მაგრამ მაშინ ქართული მწერლობაც სხვა იქნებოდა, ვიდრე არის. რაც მთავარია, ესეც და ამგვარი სხვა ნიშნებიც, ისეც და ისეც ზოგადი პრინციპებია, რომელნიც რომელიმე ენის შიდა კანონზომიერებების დარია და არა მისი ცვლადი ლექსიკისა თუ კონკრეტული გრამატიკული ნორმებისა.

VII დასახელებული პრინციპები, თუ მუდამ არ უდრის, მეტად უახლოვდება იმ ნიშნებს, რომლებშიც „ეროვნული ხასიათი“ ცნაურდება. ჩემი ფიქრით, ეროვნული „მე“ იმდენად ესა თუ ის მსოფლმხედველობა კი არ არის, არამედ უფრო მსოფლგანცდაა – აღქმა ქვეყნიერების შესახებ ამა თუ იმ ცოდნისა. ძალზე საგულისხმოა ერთი მართლმადიდებლური აღმსარებლობის სხვადასხვა ემოციური შეფერილობის მაგალითი: ვთქვათ, ბიზანტიელ-ბერძნებთან, რუსებთან და ქართველებთან – სწავლება ერთია, ხოლო განცდილია სხვადასხვანაირად.

VIII ამგვარად, გარკვეული ზომით, „ტრადიციული“ ემთხვევა „ეროვნულს“ და იმ უზოგადეს პრინციპებს მოიცავს, რომელთა მიტოვება სხვად გადაქცევის ტოლფასია. უმთავრესია, მუდამ მოვიძიოთ სიღრმისეული საწყისი და არ მივაჩერდეთ მის რომელიღაც გამოვლინებას. ცხადია, ეს როდი ნიშნავს იმას, არ მოვუფრთხილდეთ მას, რაც ცოცხალია – ქცევის წესები იქნება ეს თუ ხალხური სარეწი. მაგრამ არ უნდა ვეცადოთ იმათ ხელოვნურ შენარჩუნებას, რომელთაც აღარ შერჩენია სიცოცხლის ნიშანწყალი, რადგან უფრო არსებითია მათი აღმომცენებელი ფესვი, რომელიც გადაშენებულის ლოლიავში შეიძლება, ასევე ხელიდან გამოგვეცალოს. ახლა ასე ვიმსჯელოთ: რა არის აქ უარსებითესი? ის, ალბათ, რომ მთელს ქვეყანაში, ყოველ დაბა-სოფელში ფეთქავდეს შემოქმედებითი ენერგია. ნუ ვიფიქრებთ წინდაწინ „დაგეგმვაზე“, საკმარისია, ვეცადოთ, ყველგან გავალვივოთ მთვლემარე ნიჭიერება და ასპარეზი შევაგებოთ მას. ვგონებ, ასე უფრო მივაღწევთ საწადელს, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ, ვთქვათ, დღევანდელ ოსტატებს მზა ორნამენტების ასლთა ჭრასა და ქსოვას განგებ დავაძალებთ.

IX „ტრადიცია“, ჩემი აზრით, ყალიბი კი არ არის, რომლიდანაც მუდამ ერთნაირი საგნები ამოაქვთ, არამედ ღეროა, ყოველ დროს ერთი და იმავე წვენიტ გაჟღენთილ, თან კი სათითაოდ განუმეორებელ ფოთლებს რომ გამოისხამს.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

12. ტექსტის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე, ავტორის მიერ დასმული რომელი შეკითხვა გულისხმობს უარყოფით პასუხს – „არას“?

(ა) ხომ მოიძებნება იმისი მაგალითი, ნივთიერსა თუ სულიერ ასპარეზზე, როდესაც ძველიდან მოსული დიახაც მოძველებული და ხელისშემშლელი ყოფილა?!

(ბ) რამდენად სარგოა წარსულიდან გადმოყოლილი „ნაშთები“, იქნებ, ისინი მართლაც ყოველთვის შემაფერხებელია, წინსვლის მუხრუჭია?

(გ) გადავავლოთ თვალი ჩვენს ეკლესიებს და წარმოგვიდგება სიჭრელემდე მისული არაერთგვაროვნება. მაშ, არის კი მათში რაიმე საზოგადო და გამაერთიანებელი?

(დ) განა საყოფაცხოვრებო წვრილმანების მიმართ უგულისყურობით, აღწერათა მცირე ოდენობით არ ხასიათდება ჩვენი მწერლობა?

(ე) თუკი მოცემული სახით ვერაფერი შეგვრჩება სამუდამოდ, საზოგადოდ რასმე კი უნდა მოვეჭიდოთ გადასარჩენად?

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

13. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამოთქვა ავტორმა ტექსტში ვარაუდის სახით (იხ. II და VII აბზაცები)?

(ა) არ არსებობს ფორმა, სულერთია, ნივთის, საქმიანობისა თუ ურთიერთობის, რომელიც სამარადჟამო იქნება.

(ბ) რაოდენ კონსერვატიულიც არ უნდა იყოს საზოგადოება, იგი მაინც ეგუება სიახლეს.

(გ) ეროვნული „მე“ იმდენად ესა თუ ის მსოფლმხედველობა კი არ არის, არამედ უფრო მსოფლგანცდაა – აღქმაა ქვეყნიერების შესახებ ამა თუ იმ ცოდნისა.

(დ) ყოველივე ცვლილება რაღაცის შენარჩუნებასა და განგრძობას მოითხოვს თავის პირობად.

(ე) ბიზანტიელ-ბერძენთა, რუსთა და ქართველთა მიერ სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ემოციური შეფერვით არის განცდილი ერთი და იგივე აღმსარებლობა.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი ის თვალსაზრისი, რომელსაც ავტორმა ერთგვარი „პარადოქსი“ უწოდა?

(ა) ქართული ხელოვნების უკლებლივ ყველა ეპოქის სტილი შეიცავს ცალკეული მატერიალური ფორმებისა და მიზანსწრაფვიდან გამომდინარე კომპოზიციების საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ ნაკრებს.

(ბ) ქართულ ხელოვნებას შეძენილი აქვს მდგრადი ეროვნული სტრუქტურა, ე. ი. მას ახასიათებს გარკვეული კონსტანტური ნიშნები, მუდმივები.

(გ) ათასწლოვანი ქართული ხელოვნების, კერძოდ, ქართული არქიტექტურის უკლებლივ ყველა ეპოქის სტილს, როგორც წესი, ორი ფაქტორის ერთდროულად გათვალისწინებით განსაზღვრავენ.

(დ) ქართული ხელოვნების ყველა ისტორიული პერიოდისათვის საერთო კონსტანტური ნიშნების არსებობა იმავდროულად ითავსებს ფორმათა მკვეთრ სახეცვლას მის ცალკეულ პერიოდებში.

(ე) თანამედროვე ქართული ხელოვნება ძველი ხელოვნების ფორმათა დეტალებს სრულ კომპოზიციურ ერთიანობაში უნდა იაზრებდეს ახალ ნაწარმოებებთან მოსარგებად.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. ტექსტის ერთ-ერთ მონაკვეთში ავტორი ორ მწერალს – ჰიუგოსა და თომას მანს მოიხსენიებს; რა არის მისი მთავარი მიზანი?

(ა) კონტრასტული მაგალითებით უფრო ნათლად გამოკვეთოს ის არსებითი ხარვეზი, რომ ქართული მწერლობა აღწერის ნიმუშთა მცირე ოდენობით გამოირჩევა.

(ბ) გამოკვეთოს მოსაზრება, რომ ქართველი მწერლები მათი მსგავსი გულმოდგინებით არ გამოირჩევიან ყოფისა და გარემოს დეტალურად ასახვაში, თუმცა, სწორედ ამით ანიჭებენ ქართულ მწერლობას თავისებურ სახეს.

(გ) წარმოაჩინოს ფაქტი, რომ, მათგან განსხვავებით, ქართველ მწერლებს, საზოგადოდ, საკუთარი ეპოქის, თანამედროვეობის ასახვის მიმართ ნაკლები ინტერესი და ყურადღება ახასიათებთ.

(დ) აღნიშნოს, რომ ჩვენს მწერლებსაც ამდენივე რომ მოეთხროთ ნაშენსა თუ ავეჯზე, მეტი გვეცოდინებოდა წინანდელი საქართველოს შესახებ და ქართული მწერლობაც მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებდა.

(ე) დაგვანახოს, რომ ამ მწერალთა ზოგადი პრინციპებისაგან განსხვავებით, ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელია სწრაფვა უფრო მეტი კონკრეტულობისაკენ.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

16. ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ამყარებს ავტორი ენის მაგალითის დამოწმებით (იხ. V და VI აბზაცები)?

(ა) საზოგადოდ, არ არსებობს ისეთი გარდატეხა, რომელმაც უარყოფილ-უკუგდებული წარსულიდან რაიმე არ გადმოიყოლოს.

(ბ) ქართული ხელოვნების აქ დასახელებული პრინციპები, თუ მუდამ არ უდრის, მეტად უახლოვდება იმ ნიშნებს, რომლებშიც „ეროვნული ხასიათი“ ცნაურდება.

(გ) ვითარდება რა თანამედროვე ქართული ხელოვნება, ის ვერ გადმოიღებს ძველ ფორმათა დეტალებს, იგი სრულიად ახალ გადაწყვეტას უნდა ეძებდეს.

(დ) ეროვნული ხელოვნების ფორმათშემოქმედების ზოგადი პრინციპები საკმაოდ მდგრადი და ხელმოსაჭიდი ჩანს.

(ე) ეროვნული ხელოვნების თავისებურებანი მისივე შინაგანი კანონზომიერების ზოგადი პრინციპებია, რომელნიც შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

17. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

(ა) ენის შიდა კანონზომიერებებისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ არამდგრადი, ცვლადი იყოს მისი ლექსიკა და კონკრეტული გრამატიკული ნორმებიც.

(ბ) კონსტანტური ნიშნები, რომლებიც ქართული არქიტექტურის თავისებურებას განაპირობებს, შენიშნული და გამოკვეთილია ხელოვნების სხვადასხვა მკვლევართა მიერ.

(გ) ეროვნული კინემატოგრაფისაგან განსხვავებით, ფერწერულსა და ნაქანდაკევ ქართულ პორტრეტებში შეინიშნება არაყოფითობა და სწრაფვა განზოგადებისაკენ.

(დ) მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის ტაძრები ერთმანეთისაგან განსხვავებულია არა მხოლოდ პროპორციებით, არამედ დაგეგმარებით, მორთვის წესითა და მამკობი ელემენტებით.

(ე) ქართულ არქიტექტურაში სხვადასხვა სამშენებლო მასალა ყოველთვის ინარჩუნებს თავის თვისებებს, თუმცა, როგორც წესი, არ არის გამოკვეთილი მათი მასიურობა.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

18. გიორგი ჩუბინაშვილი აღნიშნავს: „ვითარდება რა როგორც ათასწლოვანი, თავისი დამახასიათებელი განწყობა-მიდგომის შემმუშავებელი და წარმომჩენი მხატვრული კულტურის გაგრძელება, თანამედროვე ქართული ხელოვნება ვერ გადმოიღებს ძველი ხელოვნების ფორმათა ძველ დეტალებს თანამედროვე ნაწარმოებებთან მოსარგებად... იგი ძირისძირამდე უნდა სწვდებოდეს, ე. ი. სრულ კომპოზიციურ ერთიანობაში უნდა იაზრებდეს დეტალების ძველებურ ანალოგიურ გადაწყვეტას...“

ჩამოთვლილთაგან რომელ შეხედულებას/შეხედულებებს ამყარებს ჩუბინაშვილის ეს თვალსაზრისი?

- I. ჩვეულებრივ, „ტრადიციაზე“ საუბრისას რაღაცის უცვლელად შენარჩუნებას გულისხმობენ, ამასთანავე, მხედველობაში აქვთ რისამე მზად ნაგულები, სავსებით ჩამოყალიბებული ფორმა.
- II. ყოველგვარი ტრადიციული ფორმა გაჩენილია დროში, რაღაცისაგან არის წარმომდგარი და, ამიტომაც, შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც მისი კვლავ გარდასახვა.
- III. უმთავრესია, მუდამ მოვიძიოთ ტრადიციულისა და ეროვნულის სიღრმისეული საწყისი და არ მივაჩერდეთ მის რომელიღაც გამოვლინებას.

- (ა) მხოლოდ I-სა და II-ს
- (ბ) მხოლოდ II-ს
- (გ) მხოლოდ III-ს
- (დ) მხოლოდ I-სა და III-ს
- (ე) მხოლოდ II-სა და III-ს

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) გადაშენებულის აღდგენის განზრახ მცდელობით, შესაძლებელია, გაცილებით მძიმე შედეგი მივიღოთ, დავკარგოთ უფრო არსებითიც, ანუ მისი ნიადაგიც.
- (ბ) „ტრადიციული“ ზოგჯერ არ ემთხვევა „ეროვნულს“, რადგან იმ უზოგადეს პრინციპებს მოიცავს, რომელნიც შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს.
- (გ) რასაც აღარ შერჩენია სიცოცხლის ნიშანწყალი, სწორედ იმას უნდა მოვუფროთხილდეთ, იმის შენარჩუნებას უნდა შევეცადოთ.
- (დ) უნდა ვეცადოთ, ყველგან, ყოველ დაბა-სოფელში, წინასწარ დავგეგმოთ, თუ რა მიმართულება მივცეთ ხალხის შემოქმედებას.
- (ე) ქართული ხელოვნების კონსტანტური ნიშნები მართლაც ყოველ ეპოქაში ვლინდება, თუმცა, ისინი არ განმსჭვალავს ეროვნული შემოქმედების ყველა განსხვავებულ ფორმას.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

20. ავტორი შედარების ხერხს იყენებს და ტრადიციაში მდგრადისა და ცვალებადის თანაარსებობას მიუსადაგებს ღეროსა და ფოთლებს შორის მიმართებას:

ტრადიცია ღეროა, ყოველ დროს ერთი და იმავე წვენიტ გაჟღენთილ, თან კი სათითაოდ განუმეორებელ ფოთლებს რომ გამოისხამს.

ტექსტის გათვალისწინებით, ჩამოთვლილთაგან რომელ წყვილში შეიძლება წარმოვაჩინოთ ანალოგიური მიმართება?

- I. მდინარის კალაპოტი, გამდინარე წყალი
- II. ოსტატი, ორნამენტის ასლი
- III. ყალიბი, საგნები

- (ა) მხოლოდ I-ში
- (ბ) მხოლოდ I-სა და II-ში
- (გ) მხოლოდ II-ში
- (დ) მხოლოდ II-სა და III-ში
- (ე) მხოლოდ III-ში

21. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად მიმართებას ტექსტის პირველსა და ბოლო აბზაცებს შორის?

- (ა) როგორც პირველ, ისე ბოლო აბზაცში გამოკვეთილია მოსაზრება, რომ ტრადიციული ნიშნავს რისამე მზად ნაგულვებ, სავსებით ჩამოყალიბებულ ფორმას.
- (ბ) პირველ აბზაცში გამოკვეთილია ორი განსხვავებული დამოკიდებულება ტრადიციის მიმართ, ხოლო ბოლო აბზაცში ავტორის მიერ აღიარებულია პირველი დამოკიდებულების მართებულობა.
- (გ) როგორც პირველ, ისე ბოლო აბზაცში გამოთქმულია შენიშვნა, რომ ტრადიცია არ ჰგავს ყალიბს, რომლიდანაც მუდამ ერთნაირი საგნები ამოაქვთ.
- (დ) პირველ აბზაცში ავტორი გვაცნობს ტრადიციის განმარტებასა და ორ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას მის მიმართ, ხოლო ბოლო აბზაცში წარმოადგენს ამ ცნების განსხვავებულ ინტერპრეტაციას.
- (ე) როგორც პირველ, ისე ბოლო აბზაცში წარმოდგენილია ტრადიციის ცნების ის განმარტებები, რომლებსაც თავად ავტორი იზიარებს და სრულყოფილად მიიჩნევს.

ტექსტი B	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია წინადადება:

- ტყუილია, რომ თუ ვიღაცა ყველაზე მეტს მუშაობს, ის ყველაზე მეტ საქმეს აკეთებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი**?

- (ა) ერთი მაინც არის ისეთი, რომელიც ყველაზე მეტს არ მუშაობს, თუმცა ყველაზე მეტ საქმეს აკეთებს.
- (ბ) ტყუილია, რომ თუ ვიღაცა ყველაზე მეტ საქმეს აკეთებს, ის ყველაზე მეტს მუშაობს.
- (გ) ერთი მაინც არის ისეთი, რომელიც ყველაზე მეტ საქმეს არ აკეთებს, თუმცა ის ყველაზე მეტს მუშაობს.
- (დ) ტყუილია, რომ თუ ვიღაცა ყველაზე მეტს არ მუშაობს, ის ყველაზე მეტ საქმეს არ აკეთებს.
- (ე) თითოეული, ვინც ყველაზე მეტს არ მუშაობს, ყველაზე მეტ საქმეს არ აკეთებს.

ამოცანა 23.

მოცემულია, რომ:

- თუ ილუზიონისტმა ჩააგდო ნომერი და ნომრის ჩაგდება გამოიწვია მაყურებლების უარყოფითი დამოკიდებულება, მაშინ ილუზიონისტმა დაკარგა სამსახური.
- თუ ილუზიონისტმა ჩააგდო ნომერი, მან მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დაკარგა სამსახური, თუ შეძლო პატარების გახალისება.
- თუ ილუზიონისტმა არ ჩააგდო ნომერი, მაშინ მან შეძლო პატარების გახალისება.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ მოცემულობიდან?

- (ა) თუ ილუზიონისტმა არ დაკარგა სამსახური, მაშინ მან შეძლო პატარების გახალისება.
- (ბ) თუ ილუზიონისტმა შეძლო პატარების გახალისება, მაშინ მან არ ჩააგდო ნომერი.
- (გ) თუ ილუზიონისტმა არ დაკარგა სამსახური, მაშინ მან არ ჩააგდო ნომერი.
- (დ) თუ ნომრის ჩაგდება გამოიწვია მაყურებლის უარყოფითი დამოკიდებულება, მაშინ ილუზიონისტმა ვერ შეძლო პატარების გახალისება.
- (ე) თუ ილუზიონისტმა არ ჩააგდო ნომერი, მაშინ მან არ დაკარგა სამსახური.

ამოცანა 24.

რამდენიმე ათეული წლის წინ ბალტიის ზღვაში სელაპების მნიშვნელოვანი ნაწილი ვირუსული დაავადებების გამო დაიღუპა. ამავე დროს, შოტლანდიის სანაპიროებთან იმავე მიზეზით სელაპების ბევრად მცირე ნაწილი დაიღუპა. ბალტიის სელაპებს სისხლში ბევრად მეტი დაბინძურების კვალი ჰქონდათ, ვიდრე შოტლანდიურ სელაპებს. რადგანაც დაბინძურება, როგორც ცნობილია, ვირუსებთან გამკლავების უნარს აქვეითებს, ამიტომ ბალტიის სელაპების სიკვდილიანობის უფრო მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო მათი სისხლის დაბინძურების უფრო მაღალი ხარისხით.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გააძლიერებს ყველაზე მეტად მოყვანილი მსჯელობის მართებულობას?

- (ა) ბალტიის ზღვაში დაღუპული სელაპების უმრავლესობა ასაკოვანი ან ავადმყოფი იყო.
- (ბ) შოტლანდიური სელაპების სიკვდილიანობის გამომწვევი ვირუსი ბევრად ადვილად ამარცხებს დასუსტებულ იმუნურ სისტემას, ვიდრე ჯანმრთელს.
- (გ) შოტლანდიის სანაპიროებთან სელაპების ორგანიზმებში დაბინძურების მაჩვენებლები ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდებოდა.
- (დ) გარდა სელაპებისა, ზღვის სხვა ძუძუმწოვრებს შორისაც სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბალტიის ზღვაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე შოტლანდიის სანაპიროებთან.
- (ე) ბალტიის ზღვაში არსებული დაბინძურების ტიპი განსხვავდებოდა შოტლანდიის სანაპიროებთან არსებული დაბინძურების ტიპებისგან.

ამოცანა 25.

ხუთკაციან ჯგუფში სამის გვარი შარაბიძეა და ორის – ჩაფიძე. ამ ჯგუფიდან 3 ყოველთვის ტყუილს ამბობს, 2 კი – ყოველთვის სიმართლეს. მათ შემდეგი რამ განაცხადეს:

- ანდრო: ამ ჯგუფში ორი მოგვარე მყავს, ორივე ყოველთვის ტყუის.
- ბენო: ამ ჯგუფში ორი მოგვარე მყავს, ორივე ყოველთვის სიმართლეს ამბობს.
- გელა: ანდროც და ბენოც ტყუილს ამბობენ.
- დაჩი: გელა სიმართლეს ამბობს.
- ელდარი: ბენო და დაჩი არ არიან მოგვარეები.

თუ ცნობილია, რომ ანდრო და ელდარი მოგვარეები არიან, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) სიმართლეს ამბობენ გელა და ელდარი.
- (ბ) სიმართლეს ამბობენ ანდრო და ბენო.
- (გ) ბენო, გელა და დაჩი შარაბიძეები არიან.
- (დ) გელა და ელდარი ჩაფიძეები არიან.
- (ე) ბენო და დაჩი ჩაფიძეები არიან.

ამოცანა 26.

სააგენტომ ჩაატარა გამოკითხვა იმის გასარკვევად, თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა ამა თუ იმ ტიპის რეკლამას. გაირკვა, რომ გამოკითხულთა ნდობის მიხედვით საუკეთესო სამეულია:

- ბეჭდური (გაზეთები, ჟურნალები) – 82%
- სატელევიზიო – 80%
- საძიებო სისტემები (გუგლი, ბინგი, იანდექსი და სხვ.) – 61%

შენიშვნა: პროცენტი მიუთითებს, თუ გამოკითხულთა რა ნაწილმა გამოხატა ნდობა შესაბამისი ფორმატის რეკლამის მიმართ.

სააგენტომ დაასკვნა, რომ მოგების თვალსაზრისით მწარმოებლებისთვის უმჯობესია, რეკლამა განათავსონ ბეჭდურ გამოცემებში, ვიდრე სხვა ფორმატში.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი შეასუსტებს სააგენტოს დასკვნის მართებულობას?

- (ა) საძიებო სისტემებში განთავსებულ რეკლამას ბევრჯერ მეტი ადამიანი ნახულობს, ვიდრე სხვა რომელიმე ფორმატში.
- (ბ) ნდობის თვალსაზრისით სხვაობა ბეჭდურ და სატელევიზიო რეკლამებს შორის მცირეა.
- (გ) ბეჭდური რეკლამის ნდობის პროცენტი ნაკლებია დანარჩენი საშუალებების ნდობის პროცენტების ჯამზე.
- (დ) სატელევიზიო რეკლამების რაოდენობა ბოლო პერიოდში იზრდებოდა, ხოლო ბეჭდურისა მცირდებოდა.
- (ე) სხვა ფორმატებში შესაძლებელია უფრო მრავალფეროვანი რეკლამების დამზადება, ვიდრე ბეჭდურ ფორმატში.

ამოცანები 27-28 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მწვერვალისკენ მიმავალი მიაღექით გზაჯვარედინს, რომელზეც გზა ხუთად იყოფა: ერთი გზა მიდის აღმოსავლეთით, მეორე – სამხრეთ-აღმოსავლეთით, მესამე – სამხრეთით, მეოთხე – სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო მეხუთე – დასავლეთით. თითოეულ გზაზე თითო წარწერაა:

აღმოსავლეთის გზა – *მხოლოდ ეს გზა მიდის მწვერვალამდე.*

სამხრეთ-აღმოსავლეთის გზა – *მხოლოდ აღმოსავლეთის გზა მიდის მწვერვალამდე.*

სამხრეთის გზა – *სამხრეთ-აღმოსავლეთის გზაზე წარწერა მცდარია.*

სამხრეთ-დასავლეთის გზა – *ეს გზა მიდის მწვერვალამდე.*

დასავლეთის გზა – *სამხრეთ-დასავლეთის გზაზე წარწერა მცდარია.*

ამასთან, მწვერვალამდე მიმავალ ყოველ გზაზე წარწერა არის ჭეშმარიტი, ხოლო დანარჩენებზე – მცდარი.

ამოცანა 27.

რომელია ის გზა, რომელიც დანამდვილებით მიდის მწვერვალამდე?

- (ა) აღმოსავლეთის
- (ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთის
- (გ) სამხრეთის
- (დ) სამხრეთ-დასავლეთის
- (ე) დასავლეთის

ამოცანა 28.

ამ ხუთი გზიდან რამდენი მიდის მწვერვალამდე?

(ა) 1

(ბ) 2

(გ) 3

(დ) 4

(ე) 5

ამოცანები 29-32 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

რვა სტატია – A, B, C, D, E, F, G და H – უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალის სამ ნომერში. პირველ და მეორე ნომრებში უნდა გამოქვეყნდეს 3-3, ხოლო მესამე ნომერში – 2 სტატია. გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- A სტატია პირველ ნომერში უნდა გამოქვეყნდეს.
- B სტატია მესამე ნომერში უნდა გამოქვეყნდეს.
- არც B და არც E არ გამოქვეყნდება იმავე ნომერში, რომელშიც გამოქვეყნდება G.
- D არ გამოქვეყნდება იმავე ნომერში, რომელშიც გამოქვეყნდება H.
- თუ C გამოქვეყნდება პირველ ნომერში, ამავე ნომერში უნდა გამოქვეყნდეს H-ც.

ამოცანა 29.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ასახავდეს სწორად ჟურნალის ნომრებში სტატიების განაწილებას?

- | | | |
|----------------------|----------------|--------------|
| (ა) პირველი: A, C, G | მეორე: D, E, F | მესამე: B, H |
| (ბ) პირველი: A, C, H | მეორე: B, D, G | მესამე: E, F |
| (გ) პირველი: A, E, F | მეორე: D, G, H | მესამე: B, C |
| (დ) პირველი: A, F, H | მეორე: C, D, G | მესამე: B, E |
| (ე) პირველი: A, F, H | მეორე: D, E, G | მესამე: B, C |

ამოცანა 30.

თუ F სტატია პირველ ნომერში გამოქვეყნდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოქვეყნდება აუცილებლად მეორე ნომერში?

- (ა) C
- (ბ) D
- (გ) E
- (დ) G
- (ე) H

ამოცანა 31.

თუ F სტატია მესამე ნომერში გამოქვეყნდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი ორი ვერ გამოქვეყნდება ერთად პირველ ნომერში?

- (ა) G და H
- (ბ) E და H
- (გ) D და G
- (დ) D და E
- (ე) C და H

ამოცანა 32.

ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) თუ C და F ერთად გამოქვეყნდება მეორე ნომერში, მაშინ D გამოქვეყნდება მესამე ნომერში.
- (ბ) თუ D და E ერთად გამოქვეყნდება პირველ ნომერში, მაშინ C გამოქვეყნდება მესამე ნომერში.
- (გ) თუ D და E ერთად გამოქვეყნდება პირველ ნომერში, მაშინ H გამოქვეყნდება მესამე ნომერში.
- (დ) თუ F და D ერთად გამოქვეყნდება პირველ ნომერში, მაშინ E გამოქვეყნდება მესამე ნომერში.
- (ე) თუ G და H ერთად გამოქვეყნდება მეორე ნომერში, მაშინ F-ც გამოქვეყნდება მეორე ნომერში.

ამოცანები 33-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა: I ეტაპი იყო ტესტირება. II ეტაპი იყო გასაუბრება, რომელიც მხოლოდ მათ ჩაუტარდათ, ვინც I ეტაპი დაძლია. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 7-მა კონკურსანტმა. ესენია: გიგო, კალე, ლაშა, მაია, ონისე, ფიქრია და ჯუნა. ცნობილია, რომ:

- ფიქრიამ I ეტაპი დაძლია.
- თუ ჯუნამ ვერ დაძლია I ეტაპი, მაშინ ეს ეტაპი ვერ დაძლია ვერც გიგომ.
- თუ ჯუნამ დაძლია I ეტაპი, მაშინ ეს ეტაპი დაძლია ლაშამაც.
- თუ ფიქრიამ ორივე ეტაპი დაძლია, მაშინ კალემ ერთი ეტაპი მაინც დაძლია.
- თუ კალემ ორივე ეტაპი დაძლია, მაშინ მაიამ ერთი ეტაპი მაინც დაძლია.
- თუ მაიამ ორივე ეტაპი დაძლია და ლაშამ ერთი ეტაპი მაინც დაძლია, მაშინ ონისემ დაძლია ორივე ეტაპი.

ამოცანა 33.

თუ ყველამ, ვინც I ეტაპი დაძლია, დაძლია II-ც და მათ შორის არ იყო ლაშა, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია ის, რომელზეც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მან ვერ დაძლია ვერცერთი ეტაპი?

- (ა) კალე
- (ბ) გიგო
- (გ) ონისე
- (დ) მაია
- (ე) ფიქრია

ამოცანა 34.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) მხოლოდ ლაშამ და ჯუნამ დაძლიეს I ეტაპი.
- (ბ) მხოლოდ ლაშამ, ფიქრიამ და მაიამ დაძლიეს II ეტაპი.
- (გ) I ეტაპი სულ სამმა კონკურსანტმა დაძლია, მათ შორის გიგომ.
- (დ) I ეტაპი სულ ორმა კონკურსანტმა დაძლია, რომელთა შორის ჯუნაც იყო.
- (ე) თითოეულმა კონკურსანტმა მხოლოდ ერთი ეტაპი დაძლია.

ამოცანა 35.

თუ ონისემ ვერცერთი ეტაპი ვერ დაძლია, ხოლო ორივე ეტაპი ზუსტად ოთხმა კონკურსანტმა დაძლია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) გიგომ ერთი ეტაპი მაინც დაძლია.
- (ბ) კალემ ერთი ეტაპი მაინც დაძლია.
- (გ) მაიამ ორივე ეტაპი დაძლია.
- (დ) ლაშამ ორივე ეტაპი დაძლია.
- (ე) ჯუნამ ერთი ეტაპი მაინც დაძლია.

რადიენობრივი მსჯელობა






7 ამოცანა

ამოცანა 36.

მოცემულია გამრავლების ორი „მინი ტაბულა“. პირველი აჩვენებს, თუ რა რიცხვები მიიღება 2-ის და 3-ის გამრავლებით 5-ზე და 4-ზე. მეორე ანალოგიურ ტაბულაში კი რიცხვების ნაწილი ხუთი ბარათითაა დაფარული (იხ. ნახ).

რა რიცხვია დაფარული წითელი ბარათით (მარჯვენა ქვედა უჯრაში)?

	5	4
2	10	8
3	15	12

		
	35	63
	30	

- (ა) 36 (ბ) 42 (გ) 48 (დ) 54 (ე) 69

ამოცანა 37.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი იყოფა უნაშთოდ 3-ზე?

(ა) $10^{2018}+2017$

(ბ) $10^{2017}+2016$

(გ) $10^{2016}+2015$

(დ) $10^{2015}+2014$

(ე) $10^{2014}+2013$

ამოცანა 38.

აიღეს ერთმანეთის მომდევნო ორი ნატურალური რიცხვი, იანგარიშეს თითოეულის ციფრთა ჯამი და გამოთვალეს მიღებული ორი რიცხვის სხვაობა. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ეს სხვაობა?

- (ა) 5
- (ბ) 15
- (გ) 25
- (დ) 35
- (ე) 45




ამოცანა 39.

M პუნქტი მდებარეობს სწორხაზოვან საავტომობილო გზაზე (იხ. სურათი მარჯვნივ). ამ გზაზე გარკვეული დროის განმავლობაში ორი ავტომობილი მოძრაობდა. ცნობილია, რომ მოძრაობის ამ პროცესში ავტომობილები M პუნქტში ერთდროულად არ ყოფილან.



დამკვირვებელმა ერთსა და იმავე საკოორდინატო სისტემაში გამოსახა ორი (შავი და რუხი ფერის) გრაფიკი, რომელთაგან ერთი წარმოადგენს მოძრაობის ამ პროცესში ერთი ავტომობილიდან M პუნქტამდე მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს, ხოლო მეორე – მეორე ავტომობილიდან M პუნქტამდე მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს. ქვემოთ მოცემული სამი – I, II და III – ნახაზიდან რომელზე შეიძლება იყოს გამოსახული ეს გრაფიკები?

შენიშვნა: II ნახაზზე გამოსახული გრაფიკების საერთო წერტილი საკოორდინატო სისტემის ჰორიზონტალურ ღერძზე ძევს.



- (ა) მხოლოდ II-ზე
- (ბ) მხოლოდ III-ზე
- (გ) მხოლოდ I-სა და II-ზე
- (დ) მხოლოდ II-სა და III-ზე
- (ე) მხოლოდ I-სა და III-ზე

ამოცანა 40.

ნატურალური n რიცხვის შესახებ განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. 1-დან n -მდე (ჩათვლით) ყველა მთელი რიცხვის ნამრავლი უნაშთოდ იყოფა 17-ზე.
- II. 1-დან n -მდე (ჩათვლით) ყველა მთელი რიცხვის ნამრავლი არ იყოფა უნაშთოდ 19-ზე.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ n რიცხვი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 41.

ABC სამკუთხედის შესახებ ცნობილია, რომ მისი თითოეული გვერდის სიგრძე სანტიმეტრებში მთელი რიცხვით გამოისახება.

მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ ABC სამკუთხედის თითოეული გვერდის სიგრძე ----- , მაშინ ეს სამკუთხედი ----- .“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი სვეტიდან:

I სვეტი

M . 4 სმ-ს არ აღემატება

N . 4 სმ-ზე ნაკლებია

II სვეტი

P . ტოლფერდაა

Q . ტოლგვერდაა

R . სხვადასხვაგვერდაა




აარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი მოცემული წინადადების შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

- (ა) $M \rightarrow P$ (ბ) $N \rightarrow P$ (გ) $M \rightarrow Q$ (დ) $N \rightarrow Q$ (ე) $N \rightarrow R$

ამოცანა 42.

მოცემულია ერთი და იმავე მასალისაგან დამზადებული ცილინდრის ფორმის ორი – A და B – ფიგურა (იხ. ნახაზი 1). B ფიგურა უდანაკარგოდ გაჭრეს ორ ცილინდრად (იხ. ნახაზი 2), რომელთაგან თითოეული მთელი ფუძით დააწებეს A ცილინდრის თითო ფუძეს ისე, რომ მიიღეს მე-3 ნახაზზე გამოსახული ფიგურა.

შემდეგი ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რამდენი გრამი საღებავია საჭირო მე-3 ნახაზზე გამოსახული ფიგურის ზედაპირის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად?



- I. A ფიგურის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭიროა 64 გრამი საღებავი.
- II. B ფიგურის გვერდითი ზედაპირის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭირო იყო 8 გრამი საღებავი.
- III. A ფიგურის გვერდითი ზედაპირის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭიროა 32 გრამი საღებავი.
- IV. B ფიგურის სრულად და ერთგვაროვნად შესაღებად საჭირო იყო 10 გრამი საღებავი.

- (ა) I და II (ბ) I და III (გ) I და IV (დ) II და III (ე) III და IV

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა